

დავით მაღაზონია

ქართული ისტორიოგრაფიული
აზროვნება XIX საუკუნის
მეორე ნახევარში

УДК 930.1 (479.22)

მ 201

წიგნში განხილულია თერგდალეულთა მსოფლმხედველობა, ნაჩვენებია მისი პროგრესულობა, ორიგინალური ხასიათი ნებისმიერ იდეოლოგიურ მიმდინარეობასთან მიმართებაში. შესწავლილია მათი სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები, რომელთა შორის მთავარია საზოგადოების განვითარების ევოლუციური გზის მიღება, კერძო საკუთრების მხარდაჭერა, ზრუნვა გაპროლეტარებისაგან მშრომელთა დაცვისათვის და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველ სწავლულთა მიდგომას ისტორიისადმი, იმ დიდი როლის ჩვენებას, რასაც ისინი ისტორიული ცოდნის გაფრცვლევას აკუთვნებდნენ ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის. ასახულია მათი განუხრელი ზრუნვა ამ მეცნიერების დაწინაურებისათვის, საფუძვლიანად არის გაანალიზებული მათი მოსაზრებები როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე.

რედაქტორი: პროფესორი **ფარნაოზ ლომაშვილი**
რეცენზენტები: პროფესორი **ნოდარ გაბლიშვილი**
დოცენტი **სერგო ვარდოსანიძე**

საქართველოს განათლების სამინისტრო

© გამომცემლობა „**ჩინოსოვრაჯი**“

ISBN 99928-935-1-6

შესავალი

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი. საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებამ, თავისი მზაკვრული პოლიტიკით, მოახერხა მანამდე დამოუკიდებელი ქვეყნის — საქართველოს მიერთება რუსეთის იმპერიისათვის და მისი სახელმწიფოებრიობის ორ ჩვეულებრივ გუბერნიაზე დაყვანა. რუსეთის მიზანი შემოერთებული ხალხების თანდათანობითი ასიმილირება და გარუსება იყო. ამ მიზნის შესაბამისად საქართველოში, ისევე როგორც სხვა დაპყრობილ მხარეებში, აღიკვეთა დედაენაზე სწავლება (თუმცა აქ უძველესი დროიდან იქმნებოდა პედაგოგიური ტრადიციები და, ელემენტარულ განათლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, საქვეყნოდ ცნობილი უმაღლესი სკოლებიც კი ფუნქციონირებდნენ), დევნასა და დამცირებას განიცდიდა ქართული კულტურა და საზოგადოებრივი აზრი. ქართველი ხალხი, რომლის დიდი კულტურა და ეროვნული მენტალიტეტი ათასწლეულების მანძილზე იქმნებოდა, ვერ ურიგდებოდა სახელმწიფოებრიობის გაუქმებასა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას. ამის უტყუარი დასტურია სტიქიური აჯანყებები, შეთქმულებები, ერის აშკარა განწყობა უცხო, ძალად თავსმოხვეული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ხდება რამდენიმე მოვლენა, რომლებიც უაღრესად ხელსაყრელია ქართული პროვინციების ერთმანეთთან დაახლოებისათვის, საერთო ინტერესებითა და მიზანდასახულობით მათი განმსჭვალვისათვის, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის გაძლიერებისათვის: უქმდება ბატონყმობა და ქვეყნის სამთავროებად დაყოფა, ფართოვდება სავაჭრო-ეკონომიკური, ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, ინტენსიური ხდება ყოველივე აღნიშნულით განპირობებული მიმოსვლა კუთხეებს შორის. დედა საქართველოს უბრუნდება უძველესი ქართული მიწა-წყალი — აჭარა მიმდებარე კუთხეებითურთ,

რითაც მთელი ჩვენი ქვეყანა, შეიძლება ითქვას, ერთი იმპერიის ფარგლებში ექცევა.

ეს სასიკეთო ძვრები მომდევნო ნაბიჯების გადადგმის კარგ საფუძველს წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღიადრებისათვის. ახლა მთავარი ამოცანა რუსეთის იმპერიის მარწუხებისაგან გაერთიანებული საქართველოს გამოსხნაში მდგომარეობს.

60-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი იწყება. ადრინდელი სტიქიური შეიარაღებული წინააღმდეგობები ადვილს უთმობს იდეოლოგიურ დაპირისპირებას, სათანადო შეგნების გაღვივებას მოსახლეობაში, რასაც მთელი ქართველი საზოგადოება უნდა შეემზადებინა კოლონიური უღლის მოსაშორებლად.

60-იანი წლებიდან ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელმძღვანელობენ ფართოდ განათლებული, ღრმად მოაზროვნე, ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულ მამულიშვილთა დიადი პლეადა, რომელშიც უპირველეს ფიგურად ილია ჭავჭავაძე გამოიყოფა. უძლიერესი გონი, უტყუარი ალღო, ერის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება უდიდეს ავტორიტეტს უქმნიდა მას. იგივე ითქმის აკაკი წერეთელზე, იაკობ გოგებაშვილზე, ნიკო ნიკოლაძეზე, გიორგი წერეთელზე, სერგი მესხსა და სხვა მწერლებსა და მოღვაწეებზე, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ერის სულიერ ცხოვრებაში. მათ დღევანდელ ვითარებაშიც უაღრესად საყურადღებო, წარუვალი მნიშვნელობის იდეები და მოთხოვნები წამოაყენეს.

თერგდალეულები, პირველ რიგში, მწერლები და პუბლიცისტები იყვნენ. მაგრამ საოცრად ფართო და მრავალმხრივი იყო მათი მოღვაწეობა. მათ ილიას მეთაურობით, უდიდესი როლი აქვთ შესრულებული ახალი ლიტერატურული ენის დამკვიდრებაში, იმ დროის ლიტერატურული შემოქმედების დემოკრატიულ განმათავისუფლებელი მიმართულების ჩამოყალიბებაში, ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინებაში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო

საქმიანობაში, ხალხური სიტყვიერებისა და მუსიკის შექრება-პოპულარიზაციის ორგანიზებაში, ეროვნული პრესის განვითარებაში, ახალი (კაპიტალისტური) საწარმოო ურთიერთობის გაფართოებაში.

მთელი ეს მრავალმხრივი მოღვაწეობა მშობელი ქვეყნის წარსული დიდების აღდგენას, პირველ რიგში კი — ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მიღწევას ემსახურებოდა.

ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში, რაც სრულიად აუცილებელი იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის, მთავარი როლი სათანადო სულისკვეთებით გამსჭვალულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიის საკმაოდ სრულსა და მეცნიერულად გამართულ კურსს უნდა შეესრულებინა.

ხელისუფლების ინტერესებს არ შეესაბამებოდა ხალხში ეროვნული თვითშეგნების ზრდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, და ამკარად, მიზანმიმართულად უშლიდა ხელს საქართველოს ისტორიის წარმოჩენას, როგორც ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

თერგდალეულებს არა მარტო ხელისუფლებასთან უხდებოდათ ბრძოლა: ისტორიული სინამდვილისა და იმაკდროულად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა დვარძლიანი გამოხდომები და ნიჰილისტთა კაპიტულანტური პუბლიკაციები, რომლებსაც ღირსეულ პასუხს სცემდნენ ილია და მისი თანამოაზრეები — ლიტერატორ-მოღვაწეები და პროფესიონალი ისტორიკოსები.

თერგდალეულთა ისტორიული ნააზრევი, უაღრესად საინტერესო თავისი სიღრმით, ლოგიკურობითა და ობიექტურობით, მრავალ ცნობილ სწავლულს უკვლევია. ჩვენ სათანადოდ ვაფასებთ ამ მრავალრიცხოვან გამოკვლევებს, რომლებშიც მთელი რიგი საკითხები მეცნიერული კეთილსინდისიერებით, მიუკერძოებლად არის განხილული. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არც თუ იშვიათად

მართებულად არ ფასდებოდა ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა მსოფლმხედველობა, მათი ფილოსოფიური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური შეხედულებები. ეს ტენდენციური შეფასებები ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილი ლიდერის — ილიას იდეებსა და პრაქტიკულ მოღვაწეობას ეხებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ილიას აცხადებდნენ რეაქციონერად, ნაციონალისტად, თავადაზნაურობის ინტერესების გამომხატველად და მშრომელი ხალხის მტრად... 30-იანი წლების შუა ხანებიდან რადიკალურად იცვლება დამოკიდებულება მისი პიროვნებისადმი — ამჯერად აშკარაა ილიას იდეების თვითნებური გადახრა მარცხნივ, მათი მეტისმეტი მიახლოება მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებთან. იგივე ითქმის სხვა ცნობილ მოღვაწეთა მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების შესახებ — საბჭოური იდეოლოგიის მძიმე წნეხი თავისას შვებოდა.

დღეს, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიზაციის პირობებში, შესაძლებელია სიმართლის თქმა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სინამდვილეში რაზე ოცნებობდნენ და რისთვის იღვწოდნენ თერგდალეულები. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დღევანდლობისათვის, როცა საქართველომ დამოუკიდებლობაც მოიპოვა და წარმოების ახალ წესზედაც გადავიდა. ამ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე ღრმად მსჯელობდნენ და საგულისხმო მოსაზრებებს აყალიბებდნენ მე-19 საუკუნის დიდი მამულიშვილები.

ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობის, ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური საფუძვლებისა და მისი სტრატეგიის კვლევას არაერთი სერიოზული ნაშრომი მიეძღვნა. მათი ავტორები: — გ. აბზიანიძე, ი. ანთელავა, ვ. ბახტაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ვ. გაგოიძე, მ. გაფრინდაშვილი, ლ. გორგილაძე, პ. გუგუშვილი, ვ. გურული, პ. ინგოროყვა, ი. კაჭარავა, ა. კიკვიძე, ფ. ლომაშვილი, ლ. მენაბდე, პრ. რატიანი, ა. სურგულაძე, ზ. შველიძე, ს. ხუნდაძე და სხვ. — საინტერესო მიგნებებს, საგულისხმო დასკვნებს გვთავაზობენ. მათი საფუძვლიანი შესწავლა დიდად წაგვადგა პრობლემისადმი ჩვენი დამოკიდებულების შექმნაში,

რომელიც, ვფიქრობთ, რამდენიმე საინტერესო, ტოტალური საბჭოური იდეოლოგიური დიქტატის პირობებში შეუძლებელ, სუბიექტურობისაგან დაზღვეულ დასკვნას მოიცავს.

სამოციანელ ქართველ მოაზროვნეთა ისტორიულ შეხედულებებს განიხილავენ ივ. ჯავახიშვილი, გ. ანჩაბაძე, ე. არჯევანიძე, შ. ბადრიძე, დ. ჩაკვეტაძე, ვ. დონაძე, მ. დუმბაძე, ა. იოსელიანი, ი. კაჭარავა, ა. კიკვიძე, ჯ. ლომაშვილი და სხვ. მათი პუბლიკაციები სრულად წარმოაჩენენ ცალკეულ სამოციანელ მოღვაწეთა დვაწლს საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარებაში და ხელშესახებ ბაზას ქმნიან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაშლილი ისტორიოგრაფიული მოძრაობის ერთიან კომპლექსში განსახილველად.

ქართველ სამოციანელთა იდეურ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული შეხედულებების შესახებ არსებული შრომები დიდ დახმარებას გაუწევენ ნებისმიერ მკვლევარს, ვინც განიზრახავს შეისწავლოს აღნიშნული პერიოდი, იმ დროს მიმდინარე პროცესები და არსებული აზრობრივი სისტემები. მაგრამ ეს არ ნიშნავს საკითხის საბოლოო ამოწურვას, სხვაგვარი თვალთახედვითა და მეტი სისრულით მისი გაშუქების შეუძლებლობას.

ნაშრომი შეიცავს არაერთ სიახლეს, რომლებიც ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიულ აზროვნებაზე, უფრო ცხადად და სრულად გვიჩვენებენ მეცნიერული აზრის დაწინაურებას, მის რთულ შინაარსს მოცემული პერიოდის საქართველოში, წარმოაჩენენ იმ დიდ წვლილს, რაც ისტორიული მეცნიერების განვითარებასა და სათანადო კვლევის მეთოდური საკითხების დამუშავებაში, პროფესიონალ ისტორიკოსებთან ერთად, ქართველი ერის დიდმა მოამაგებმა, განმათავისუფლებელი მოძრაობისა და იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა-თერგდალეულებმა შეიტანეს.

კერძოდ, ნაჩვენებია:

1. ქართველ სამოციანელთა მთელი მსოფლმხედველობის, ეროვნული და იდეურ-პოლიტიკური მრწამსის აშკარად

პროგრესული და ორიგინალური ხასიათი ნებისმიერ ცნობილ იდეოლოგიურ მიმდინარეობებთან მიმართებაში, რომელიც მსოფლიო მეცნიერების თეორიული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისების შედეგს წარმოადგენს და არცერთი მათგანის ჩარჩოებით არ იფარგლება. ამავე დროს: ბ) მათი სოციალური ორიენტაცია არაა ვიწრო კლასობრივი — ისინი საერთო-ეროვნული ინტერესების დამცველებად და გამტარებლებად გვევლინებიან; გ) თერგდალეულების მისწრაფება კლასობრივი ზავისადმი არ ნიშნავს მათ შერიგებას არსებულ სოციალურ სისტემასთან — ისინი უკლასო, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის იღვწოდნენ; დ) ქართველი სამოციანელების მოღვაწეობაში არ გამოიყოფა იდეური მიზანდასახულობით განსხვავებული პერიოდები, ანუ — მათ მსოფლმხედველობაში არ მომხდარა შინაარსობრივი ცვლილება; ე) ამავე დროს ისინი არ ყოფილან აბსოლუტურად იდენტური მსოფლმხედველობის მოაზროვნეები; ე) XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის მათი რიგების დაშლა გამოიწვია ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მიმართ რამდენადმე განსხვავებულმა პოზიციებმა.

2. ნაშრომში შესწავლილია ქართველი სამოციანელების სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები, რომელთაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს: ა) საზოგადოებრივი განვითარების ევოლუციური გზის აღიარება; ბ) საგლეხო რეფორმის მნიშვნელობის რეალისტური გააზრება; გ) კერძო საკუთრების მხარდაჭერა; დ) გაპროლეტარებისაგან მშრომელთა დაცვისათვის შრომის კოოპერირების პრინციპზე ორიენტაცია; ე) საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების ნათელი გააზრება.

3. ჩვენ მიერ მოძიებული და გაანალიზებული საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის მასალები ცხადყოფენ: ა) მეფის ხელისუფლების შემზღვეველ პოლიტიკას, რაც თან სდევდა და აბრკოლებდა თავისუფალი, პროგრესული აზრის განვითარებასა და გამოთქმას, მათ შორის — საქართველოს წარსულის მეცნიერული შესწავლის საქმეს; ბ) მოწინავე ქართველი ინტელიგენციის, ცნობილ ქართველ მოღვაწეთა და სწავლულ

— მკვლევართა შეუპოვარ ბრძოლას ეროვნული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის, მათ მიზანს — ისტორიული ცოდნის მოფენით გაეღვივებინათ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, სერიოზული ბიძგი მიეცათ მეცნიერული აზროვნების აღმავლობისათვის ჩვენში.

4. ასევე, საარქივო მასალების, საგაზეთო პუბლიკაციებისა და ცალკეულ მეცნიერულ გამოკვლევათა შესწავლის შედეგად ნათელი წარმოდგენა გვექმნება საეკლესიო მუზეუმის საქმიანობაზე, რომელიც ისტორიის წყაროთა შეკრებისა და მათი დამუშავების მძლავრ კერად იქცა.

5. ნაშრომში განხილულია საარქივო დოკუმენტები, რომლებიც თბილისში რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობის (1881 წ.) მსვლელობას ასახავენ და ზუსტ წარმოდგენას გვიქმნიან საქართველოს წარსულით უცხოელ მეცნიერთა სერიოზულ დაინტერესებასა და ქართველ სწავლულთა აქტიურ მონაწილეობაზე ამ მნიშვნელოვან მეცნიერულ ფორუმში.

6. ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესის ისტორიულ მეცნიერებასთან დაკავშირებული თემატიკა: ა) გამოქვეყნებულ ნაშრომთა საგაზეთო რეცენზიები, რომლებიც კარგ მასალებს იძლევიან საქართველოს წარსულის შესწავლის პროგრამულ საკითხებზე, მისი გაღრმავებისათვის აუცილებელ პირობებზე; ბ) გამოქვეყნებული ისტორიული და რელიგიური მოთხრობები, რომლებიც საქართველოს წარსულის საინტერესო მომენტების გაცოცხლებასთან ერთად ყმაწვილთათვის მასალის მიწოდების მეთოდური პრინციპების სწორად შერჩევაზეც მეტყველებენ; გ) დამუშავებულია საქართველოს ისტორიის წყაროების (არქეოლოგიური, ლინგვისტური, წერილობითი, ზეპირსიტყვიერი, ეთნოგრაფიული...) მოკვლევისა და შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები.

ამ პუბლიკაციების სისტემაში მოყვანით ცხადი ხდება მოცემულ ეტაპზე ისტორიის კვლევის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შევსებისათვის გაწეული თეორიული თუ პრაქტიკული სამუშაოების მთელი სერიოზულობა.

7. ქართულ პერიოდულ გამოცემებში სათანადო სისრულით, ღრმად მეცნიერული მიდგომით შექმნა საქართველოს ისტორიის საკითხები. მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ჩვენი წარსულის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტის (პროცესის) საკვებით სწორი გააზრება მოცემული. დიდი ადგილი ეთმობა, აგრეთვე, უცხოეთის ძველი თუ ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების დამუშავებას.

8. ნაშრომში ძირითადი ადგილი ეთმობა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა (თერგდალეულები) და მკვლევართა (ს. ბარათაშვილი, დ. ბაქრაძე, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი ...) მეცნიერული პოზიციების ურთიერთ შეჯერებას საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებზე, რომელთაგან უმთავრესია მათი დამოკიდებულება ა) ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ზოგიერთი უძველესი ტომის ეთნიკური კუთვნილების; ბ) საქართველოს ისტორიის ადრეული პერიოდებისა და შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურული და სოციალური პროცესების; გ) სახელოვან ქართველ მეფეთა და ცნობილ მოღვაწეთა ღვაწლის შეფასების, დ) ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკისა და XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის რთული პროცესების ანალიზისა და სხვა საკითხებისადმი.

ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული პოზიციები ნათლად მეტყველებენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მაღალ ხარისხზე, საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისათვის გაწეული სამუშაოების სერიოზულობაზე.

9. ნაშრომში საკვლევი პერიოდის ქართველ სწავლულთა მიერ წამოყენებული ყოველი დებულება შეფარდებულია დღევანდელ მეცნიერულ მონაცემებთან, რათა უფრო რელიეფურად გამოიკვეთოს მათი თვალსაზრისების ჭეშმარიტების ხარისხი.

10. აღებული პერიოდის ქართული ისტორიული აზროვნების დაწინაურებაზე ასევე მეტყველებს ისტორიის ფილოსოფიის საკვანძო საკითხებზე გამოთქმული მართებული მოსაზრებები, პრობლემური ასპექტების შესწავლისათვის ამ პერიოდში გადადგმული ნაბიჯები. ნაშრომში ეს თვალსაზრისები წარმოდგენილია იმ დროის

უცხოელი მოაზროვნეების, ცალკეული ისტორიულ-სრქოლოგიური მიმართულებების კონცეფციებთან მიმართებაში, მათთან ერთიან კონტექსტში.

11. ქართველ სამოციანელთა ისტორიული შეხედულებები და იდეურ-პოლიტიკური მრწამსი ადეკვატურად აისახა მათ მხატვრულ შემოქმედებაში, რაც ასევე წარმოჩენილია ნაშრომში.